განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონში „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოში მედია მდგომარეობის გაუმჯობესება. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ კანონპროექტი ითვალისწინებს მთელ რიგ ცვლილებებს, რომლის ერთ-ერთი მიზანიცაა მედიის პოლიტიკური ზეგავლენისაგან გათავისუფლება. სწორედ ამ მიზნითაა განპირობებული ცვლილება, რომელიც შეეხება საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრთა არჩევისა და გათავისუფლების წესს. შესაბამისად საქართველოს პარლამენტის რეგლამენტს აუცილებელია დაემატოს სპეციალური ნორმა, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის როლს სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევისა და თანამდებობიდან გათავისუფლების პროცესში.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“ შესაბამისობაში მოვიდეს კანონპროექტთან „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ხელს უწყობს პოლიტიკური ზეგავლენისაგან თავისუფალი საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნას, რისთვისაც

- იცვლება სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის წესი. სამეურვეო საბჭოს სამ წევრს ირჩევს უმრავლესობა, ხოლო სამს პარლამენტის დანარჩენი წევრები.
- პარლამენტის თავმჯდომარის განკარგულებით იქმნება სპეციალური კომისია, რომლის წევრებიც უნდა იყვნენ სამოქალაქო საზოგადოებისა და უმცირესობების წევრები და ეს კომისია წარუდგენს პარლამენტს მეურვის ასარჩევად სულ ცოტა სამჯერ მეტ კანდიდატურას.
- პარლამენტს ენიჭება უფლებამოსილება უნდობლობა გამოუცხადოს სამეურვეო საბჭოს, და კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მეურვეს შეუწყვიტოს უფლებამოსილება, თუმცა ერთი და იმავე ფაქტის საფუძველზე მეურვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის განმეორებით დასმა დაუშვებელია.
- პარლამენტის გადაწყვეტილება მეურვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ან ასეთი გადაწყვეტილების მიუღებლობა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

არ საჭიროებს ხარჯებს

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფო არ იღებს რაიმე ახალ ფინანსურ ვალდებულებას

ბ.ე.) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს აღნიშნულ ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ.) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის რაიმე გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;
კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს;

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს

კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო არასახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებების წარმომადგენლებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს;

ე) კანონპროექტის ავტორი:
კანონპროექტის ავტორია: საქართველოს პარლამენტის წევრი ელისო ჩაფიძე;

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
კანონპროექტის ინიციატორია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი.

6 ძონწ/ეე